

ოქმი N6

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ოზურგეთი

2017 წელი, 16 თებერვალი

11⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე.

თავმჯდომარის მოადგილე: ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე, ლ.ბიგვავა,
მ.მახაროზლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარე: ნ.ორაგველიძე,

საკრებულოს წევრები: გ.ძიმისტარიშვილი, ვ. ჩიგოგიძე, ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი ლ. ჭელიძე, საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, არასამთავრობოებისა და მედიის წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: ლ.თოიძე, კ.კვაჭაძე, ნ.შარაშანიძე, თ.ნადირიძე, თ.სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე"- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის N9 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ მუხლობრივად განმარტა წარმოდგენილი პროექტი საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის N 9 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ აღნიშნული განკარგულებით მთავრობაში მოვითხოვეთ 3037591ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების

დაფინანსება ვინაიდან ადგილობრივ ბიუჯეტში წარმოიქმნა ეკონომია/თეატრის, ფეხბურთის, ფოლკლორის ცენტრის/741 ათ.ლარის ოდენობით, სამინისტრომ მოითხოვა ამ თანხებით თანადაფინანსება პროექტების განხორციელებაში და რეგონდიდან მოთხოვნილი თანხა შეგვიმცირა 1758500 ლარით. ჯამში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებელი თანხა ამ ეტაპზე 250000 ათ. ლარს შეადგენს, რომლის მოწონების განკარგულება უნდა გადავაგზავნოთ მთავრობის ადმინისტრაციაში.

აზრი გამოთქვას: გ. ძიმისტარიშვილი - ამ პროექტით ემატება ქუჩების რაოდენობა?

მ. წივწივაძე - პროექტის ცვლილებით მცირდება. სამწუხაროდ რეალური ბიუჯეტი უნდა დავეგეგმოთ. ხოლო რეალური ბიუჯეტით მოგვთხოვეს თანადაფინანსების გაზრდა.

გ. ძიმისტარიშვილი - აღნიშნული პროექტი ჩვენ მოვიწონეთ, რამ გამოიწვია ცვლილება?

მ. წივწივაძე - აღნიშნული პროექტების დაფინანსება შემცირდა ცენტრალური ბიუჯეტიდან.

ლ. მგელაძე - ჩავთვალოთ რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან წავგართვეს თანხა. აქ ისმის კითხვა, დავაშავეთ რამე თუ რატომ შეგვიმცირეს რეგონდებიდან მოთხოვნილი თანხა?

მ. წივწივაძე - რადგან ადგილობრივ ბიუჯეტში მეტი გვაქვს შემოსავალი.

ლ. მგელაძე - რომელი ქუჩები გაკეთდეს ვინ ჩამოაყალიბა?

მ. წივწივაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ.

ლ. მგელაძე - სასაფლაოსთან მისასვლელი ჯანაშიას ქუჩა რატომ ამოიღეთ სიიდან? არ მეთანხმებით, რომ სასაფლაოებთან მისასვლელი ქუჩები მოწესრიგებული უნდა იყოს?

გ. კობალაძე - ამ ქუჩებზე სასაფლაოებთან მისასვლელი გზების გაკეთება ადგილობრივი ბიუჯეტიდან არის დაგეგმილი რაც ბიუჯეტში შესატან ცვლილებებში იქნება გათვალისწინებული.

ნ. ორაგველიძე - ძალიან ცუდი მდგომარეობაა ანასეულის ძირითად და ე.წ. "ორველი"-ს სასაფლაოებთან მისასვლელ გზებზე.

ვ. ჩიგოგიძე - ჩოხატაურის ქუჩაზე მდებარე კათოლიკური ეკლესიის შესასვლელის მოწყობა თუ იგეგმება, რომელიც დავპირდით ხალხს?


მ. წივწივაძე - გავითვალისწინებთ, ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული გვაქვს 200.0 ათ ლარი ქუჩებზე გზის საფარის ორმული შეკეთებისა და მოხრეშისათვის სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა უბანი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა 8 ხმით
წინააღმდეგი: გ. ძიმისტარიშვილი, ლ. მგელაძე
განკარგულება თან ერთვის

სხდომის თავმჯდომარემ გელა კობალაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და
სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა